



სტინვენ კინგი
კუჯო

სტივენ კინგი
კუჯო

Stephen King
CUJO

ინგლისურიდან თარგმნა დათო ახალაძემ

© Stephen King, 1981
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2016
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-513-4

www.diogene.ge

ეძღვნება ჩემს ძმას, დევიდს, რომელსაც ხელჩაკიდებული გადავყავდი ხოლმე უესტ-ბროუდ-სტრიტზე და რომელმაც ტანსაცმლის ძველი საკიდებისგან ფრანების კეთება მასწავლა. სწორედ მისი წყალობით გავინაფე ამ საქმეში.

მიყვარხარ, დევიდ

ნელა კვდებოდა ჩემი ძალლი, ტანჯვით კვდებოდა,
ათრთოლებული მიყურებდა სანწყლად ქვემოდან.
ვერცხლის ნიჩბებით გავუთხარე საფლავი იქვე,
იმ სამარეში ოქროს ჯაჭვით ჩაუშვი პირქვე,
და ეს სიტყვები მივაყოლე ჯაჭვის ყოველ რგოლს:
„რაც ვერ მოგეცი, კარგო ძაღლო, გაღმა მოგეგოს“.

ხალხური სიმღერა

მათაც იცოდნენ, რომ ტკივილი კაცთა ხვედრია –
იმ ოსტატებმა, რომ ხატავდნენ ურვას და ტანჯვას...
და იმ ხალხს, ვინაც სხვის ტანჯვის მიმართ გულგრილი დარჩა,
და მათ ამათ ფუსფუსსა თუ უქმად ხეტიალს.

უ. ჰ. ოდენი „Musée des Beaux Arts“

„არა, სულაც არ არის ცუდი“.

„შარპის“ ბურღულეულის პროფესორი

კუჭი

ერთხელ, არც ისე დიდი ხნის წინათ, მენის შტატის პატარა ქალაქ კასლ-როკს მონსტრი მოეწვინა. მან 1970 წელს ოფიციალური ქალი აღმა ფრეჩეტი იმსხვერპლა; 1971 წელს – დიასახლისი პოლინ ტუსეკერი და მოსწავლე გოგონა ჩერილ მუდი; 1974 წელს – მშვენიერი კეროლ დანბარგერი; 1975 წლის შემოდგომაზე – მასწავლებელი ეტა რინგოლდი, იმავე წლის ზამთარში კი – ცხრა წლის კეიტ ჰენდრასენი.

ეს უჩვეულებრივი არც მაცცია იყო და არც ვამპირი, არც მოჯადოებული ტყეებისა თუ დათოვლილი ველების ბინადარი ზღაპრული არსება. ის, უბრალოდ, ფსიქიკური და სექსუალური კომპლექსებით დატანჯული პოლიციელი, ფრენკ დოდი გახლდათ. იგი ვინმე ჯონ სმიტმა ერთგვარი მაგიის წყალობით ამხილა, მაგრამ სანამ დაიჭერდნენ, დოდმა თავი მოიკლა...

ვინ იცის, შეიძლება ასე ჯობდა კიდეც.

რასაკვირველია, ამ ამბავმა პატარა ქალაქი შოკში ჩააგდო... მაგრამ თან ყველამ შვებით ამოისუნთქა იმის გამო, რომ ამდენი უდანაშაულო ადამიანის მკვლელი ჩაძალდა. ერთი სიტყვით, მოქალაქეთა ყველა კომმარნი ფრენკ დოდთან ერთად დაიმარხა.

მაგრამ ჩვენს განათლებულ დროშიც კი, როცა მშობლები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ბავშვებს ნებისმიერი ფსიქოლოგიური ტრავმა აარიდონ, კასლ-როკში უხვად იყვნენ ადამიანები, რომლებიც შვილებს ფრენკ დოდით აშინებდნენ – წყნარად თუ არ იქნე-

ბით, თქვენთანაც მოვაო. ჰოდა, შეშინებული ბავშვებიც, ფართოდ დაჭყეტილი თვალებით, გასუსულები იცქირებოდნენ ფანჯრებში და წყვილადში პრიალა სანვიმარში გამოწყობილი, სახემოღრეცილი ფრენკ დოდი ელანდებოდათ.

„აი, იქ, სიბნელეში იმალება, – ჩურჩულით ეუბნებოდა ზოგიერთი ბებია შვილიშვილებს, ბუხრის საკვამურში კი ქარი ღმუოდა, – იქაა, და ცუდად თუ მოიქცევი, დაინახავ, როგორ შემოიხედავს ფანჯარაში, როცა ყველა დაიძინებს, შენ გარდა. შეიძლება ახლაც გითვალთვალეს კარადიდან. ცალ ხელში საგზაო ნიშანი უჭირავს, რომლითაც ბავშვები გადაჰყავდა ქუჩაზე, მეორეში კი სამართებელი, რომლითაც ყელი გამოიჭრა... ახლა კი დაიძინეთ, ბავშვებო, ჩუმად... სუ... სუუ...“

თუმცა, მიუხედავად ამისა, ყველაფერი დასრულდა. დარჩა მხოლოდ ღამის კომარები და დოდის ცარიელი სახლი (დედამისი მალევე გარდაიცვალა გულის შეტევით), რომელმაც მყისვე მოჩვენებათა საბრძანებლის რეპუტაცია მოიპოვა – რას იზამ, სწორედ ასეთია უაზრო მკვლევობათა მთელი წყების გარდაუვალი გვერდითი ეფექტი.

დრო კი მიქროდა. ხუთი წელი გავიდა.

მონსტრი წარსულს ჩაჰბარდა, მონსტრი მკვდარი იყო. ფრენკ დოდი თავის კუბოში იხრწნებოდა.

მაგრამ მონსტრები არასოდეს იხოცებიან. მაქციები, ვამპირები, ჭინკები და ტყის იდუმალი ქმნილებები უკვდავები არიან.

ამიტომაც ურჩხული კვლავ დაბრუნდა კასლ-როკში.

1980 წლის მაისში ოთხი წლის ტედ ტრენტონს ღამით გაელვიძა, ლოგინიდან გამოძვრა და, ნახევრად მძინარე, ტუალეტში გაბანცალდა. საქმე რომ მოითავა, სანოლთან დაბრუნებულმა ტანსაცმლის საკუჭნაოში რაღაც არსება დაინახა.

არსება დაბალი იყო, პატარა თავი და განიერი მხრები ჰქონდა. ბენვი ყალყზე ედგა და ყელიდან გამყინავი ხროტინი ამოსდიოდა. ქარვისფრად მოელვარე თვალები კაცს ეკუთვნოდა, თუ მგელს, ვერ გაიგებდი. სწორედ ეს თვალები უმზერდნენ სააბაზა-

ნოდან დაბრუნებულ ბავშვს და საზარელ სიკვდილს, ტკივილსა და შიშნარევ კვილს უწინასწარმეტყველებდნენ – კვილს, რომელსაც ვერაფერს გაიგონებდა.

საკუჭნაოში რალაც არსება იჯდა...

ბიჭუნამ ცხადად გაიგონა ჩუმი ღრენა და მძორის მოტკბო სუნიც იგრძნო.

მერე კი თვალბზე ხელები აიფარა და დაიყვირა. მეზობელ ოთახში მამამ რალაც დაიძახა. დედამაც შეჰკვივლა – რა ხდებოა?! მერე ნაბიჯების ხმა გაისმა, ვილაც ოთახისკენ გამოიქცა. როცა შემოვიდნენ, ბიჭუნამ თითებს შორის გამოიხედა და ისევ დანახა, როგორ უყურებდნენ საკუჭნაოდან მუქართ სავესე თვალეზი – მაცადე, როგორც შემოვიდნენ, ისევე გავლენ ოთახიდან და მერე ვნახოთო.

ოთახში სინათლე აინთო. ვიკ და დონა ტრენტონეზი სანოლ-თან მიცვივდნენ და გაკვირვებულეზი შეაცქერდნენ გაფითრებულ და თვალეზადმოკარკულ ბავშვს. დედამ თქვა, უფრო სწორად, ჩაიჩურჩულა:

– ხომ გითხარი, ვიკ, სამი ჰოთდოგი მეტისმეტი-ამეტი!

მამაც ჩამოჯდა სანოლზე, მხრეზზე ხელები მოხვია და ჰკითხა, რა დაგემართაო.

ტედმა გამბედაობა მოიკრიბა და საკუჭნაოსკენ გაიხედა. ურჩხული უკვალოდ გამქრალიყო. ანთებული, დამშეული თვალეზის ნაცვლად, ბიჭუნამ მხოლოდ საბნეზი და თბილი ტანსაცმლის შეკვრა დაინახა – დონას სხვეწში ასატანად რომ ჰქონდა გამზადებული. იქვე იდგა მაგიდაც, რომელზეც ტედი დგებოდა ხოლმე, საკუჭნაოში ზედა თაროებს რომ მისწვდომოდა. მახინჯი, სამკუთხედთავიანი ურჩხულის ნაცვლად, საკუჭნაოდან დაკეცილ საბნეზზე შემოსკუპებული სათამაშო დათუნია უცქერდა აღერსიანი ყავისფერი თვალეზით.

– რა მოხდა, ტედი? – ჰკითხა მამამ.

– იქ ურჩხული იჯდა! – ნამოიძახა ტედმა, – საკუჭნაოში! – და ატირდა.

სანოლზე დედაც ჩამოჯდა და მშობლები ერთად შეუდგნენ ჩვეუ-
ლი რიტუალის შესრულებას – უხსნიდნენ პატარას, რომ ურჩხულები
არ არსებობენ და რომ ყველაფერი დაესიზმრა. დედამ თქვა, ზოგ-
ჯერ შუქ-ჩრდილები უცნაურ ფორმებს იღებენ, მაგრამ ამაში საშიში
არაფერიაო; მისი სიტყვები მამამაც დაადასტურა და დასძინა, ჩვენს
უსაფრთხო სახლში ვერავინ ვერაფერს გავნებსო. ტედმა თავი დაუქ-
ნია, თუმცა იცოდა, რომ საქმე ასე მარტივად არ იყო.

მამამ განუმარტა, ალბათ დაკეცილი საბნები მხრები გეგონა,
დათუნია კი ურჩხულის თავიო... სათამაშოს თვალებმა კი სააბა-
ზანოდან გამოსული შუქი აირეკლა და მხეცის თვალებად იმიტომ
მოგეჩვენაო.

– უყურე, – უთხრა მამამ, – აი, შემომხედე.

ტედმა ყურადღებით შეხედა.

მამამ საბნები აიღო და საკუჭნაოს სიღრმეში შეჩურთა. კარა-
დაში საკიდებმა დაინკრიალეს – თავიანთ ენაზე თქვეს რალაც. ეს
ამბავი ტედს სასაცილოდ მოეჩვენა და წამით გაელიმა კიდევ. მისი
ლიმილი დედამაც შენიშნა და მანაც შვებით გაილიმა.

მამა საკუჭნაოდან გამოძვრა, დათუნია აიღო და ტედს გაუ-
წოდა.

– დაბოლოს, – თქვა მამამ და ისე სასაცილოდ დაუქრა თავი,
რომ ტედსაც და დედასაც გაეცინათ, – ესეც სკამი.

მერე საკუჭნაოს კარი დახურა, მაგიდა მიადგა და ტედს ისევ
სანოლზე ჩამოუჯდა – ულიმოდა, მაგრამ სახეზე სერიოზული გა-
მომეტყველება ჰქონდა.

– გაიგე, ტედ?

– კი, – მიუგო ტედმა, მაგრამ მერე თავს ძალა დაატანა და
დასძინა, – მაგრამ მართლა იყო, მამი. მართლა დავინახე.

– ეგ მხოლოდ შენი წარმოსახვის ნაყოფი იყო, – უთხრა მამამ
და თბილი ხელით თმა აუჩჩია, – ურჩხულები მხოლოდ ზღაპრებსა
და შენს წარმოსახვაში არსებობენ.

ტედმა დედას გადახედა, მერე ისევ მამას მიუბრუნდა და სიყ-
ვარულით აღსავსე თვალებში ჩახედა.

– მართლა?

– მართლა, მართლა, – მიუგო დედამ, – მიდი, გაიქეცი, ფისი ქენი, შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ!

– წელან ვქენი. მაგიტომ ავდექი.

– მიდი, – მშობლებს ხომ არასდროს სჯერათ ბავშვების, – კიდევ ერთხელ ქენი, ჩემი ხათრით. კარგი?

ტედი ადგა, ტუალეტისკენ გასწვია და, სანამ ძალისძალად სამოთხ ნვეთს გამოწურავდა, დედამ ზენარი გაუსწორა.

– აი, ხომ ხედავ, გნდომებია, – უთხრა დედამ ნიშნის მოგებით.

ტედმა მორჩილად დაუქნია თავი და სანოლში შეწვა. დედამ და მამამ საბანი ამოუკეცეს, შუბლზე აკოცეს და კარისკენ გაემუდარნენ.

ტედი კვლავ შიშმა შეიპყრო: თითქოს ნესტიან ზენარში – სიკვდილის სუნით გაჟღენთილ სუდარაში – გაახვიესო. „გემუდარები! – ფიქრობდა და თავში ამ სიტყვის მეტი არაფერი უტრიალებდა – გემუდარები, გემუდარები, გემუდარები...“

მამა, თითქოს მიუხვდაო, მიუბრუნდა და, სანამ სინათლეს ჩააქრობდა, გაუმეორა:

– ურჩხულები არ არსებობენ, ტედ.

– არა, მამი, – მიუგო ტედმა, თითქოს ამაში დარწმუნება მას კი არა, მამამისს სჭირდებოდა, – არ არსებობენ.

„გარდა იმ ერთისა, ჩემს საკუჭნაოში რომ ზის“.

სინათლე ჩაქრა.

– ღამე მშვიდობისა, ტედ, – მოესმა დედის ალერსიანი სიტყვები. უნდოდა ეყვირა: „ფრთხილად, დედიკო, ურჩხულები ქალებსაც ჭამენ! ფილმებში სულ ასე ხდება – იტაცებენ და ჭამენ! გემუდარებით, გემუდარებით...“

მაგრამ მშობლები ოთახიდან გავიდნენ.

...და ოთხი წლის ტედ ტრენტონი მარტო დარჩა სიბნელეში – საბანი ნიკაპამდე აქაჩა და ცალი ხელით პლუშის დათუნია ჩაეკრა გულში მაგრად. ერთ კედელზე ლუკ სკაიუოკერის პლაკატი ჰქონდა გაკრული; მეორე კედლიდან ბლენდერზე შემოსკუპებული მხიარული ბურუნდუკი უცქერდა („თუ ცხოვრება მყავე ლიმონის მეტს

არაფერს გაძღვეს, ლიმონათი მოამზადე!“ – გვამცნობდა პლაკატი, მესამე კედელზე კი საბავშვო სერიალ „სეზამ-სტრეტი“ პერსონაჟები – ბიგ ბერდი, ბერტი, ერნი, ოსკარი და გროვერი ჩამწკრივებულიყვნენ. ერთი სიტყვით, გარშემო სულ კეთილი არსებები ეხვივნენ, მაგრამ ისინი ვერავის დაიცავდნენ მრისხანე ქარისგან – ავის მომასწავებლად რომ ღმუოდა გარეთ და ღონივრად რომ ეხეთქებოდა კედლებს და სახურავს. ტედი გრძნობდა, რომ იმ ღამით ძილი არ მიეკარებოდა.

მაგრამ თანდათან მაინც დამშვიდდა და მოდუნდა, მერე თვლემაც მოერია და...

უეცრად რალაც უცნაურმა ხმამ გამოაფხიზლა. ხმა უფრო მკაცრიოდ მოისმა, ვიდრე ქარის შორეული სტვენა...

საკუჭნაოს კარმა დაიჭრიალა.

– ჭრრრ...

ხმა ისეთი წვრილი იყო, რომ მხოლოდ ძალი ან ღამით გაღვიძებული პატარა ბავშვი თუ გაიგონებდა.

კარი იღებოდა და საკუჭნაოც ნელ-ნელა აფრენდა შავბნელ ხახას.

იქ ურჩხული იჯდა – ადრეც იქ იმალებოდა. კბილები დაეკრიჭა და ვეებერთელა თავს ქვემოთ განიერი მხრები მოუჩანდა; თვალები ქარვისფრად უელავდა და მზაკვრულ მზერას არ აშორებდა. „აკი გითხარი, ნავლენ-მეთქი, – ჩაიჩურჩულა ურჩხულმა, – ისინი ყოველთვის მიდიან და მეც სწორედ ამ დროს ვბრუნდები. მომწონს, რომ ვბრუნდები ხოლმე. შენც მომწონხარ, ტედ. ამიერიდან ყოველღამე მოვალ და თანდათან სულ უფრო მოგიახლოვდები. ერთ ღამეს კი შენ გვერდით აღმოვჩნდები და, სანამ დაიყვირებ, კლანჭებს ჩაგავლებ და შეგსანსლავ“.

ტედი თავზარდაცემული უცქერდა საკუჭნაოში შემალულ არსებას. თითქოს ეცნობოდა კიდეც და სწორედ ეს იყო ყველაზე შემზარავი, რადგან...

„...რადგან გიჟი ვარ, ტედ. უკვე დიდი ხანია, აქ ვარ. ოდესღაც ფრენკ დოდი მერქვა. ქალებს ვბოცავდი და, მგონი, ვჭამდი

კიდევ. მუდამ აქ ვიქნები, მუდამ შორიახლოს ვიტრიალებ. მე ურჩხული ვარ, ტედ, ბებერი ურჩხული და იცოდე, მალე წაგიყვან. ხომ გრძნობ, როგორ გიახლოვდები... უფრო და უფრო...”

შესაძლოა, ბიჭუნას ურჩხულის ხმა კი არაა, მხოლოდ საკუთარი სუნთქვა ან ქარის სტვენა ესმოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. კანკალით უგდებდა ყურს თითოეულ სიტყვას და თვალს ვერ ამორებდა დაკრეჭილ კბილებს. ბიჭუნას იმ ღამით ძილი აღარ ეწერა... იქნებ სულაც აღარასოდეს დასძინებოდა.

მაგრამ მოგვიანებით, სადღაც, ღამის თორმეტი საათის შემდეგ, ტედს ისევ მოერია თვლენა – ალბათ იმიტომ, რომ პატარა იყო...

თუმცა მთელი ღამე შფოთავდა და ჯგაგარაშლილი თეთრეშვე-ბიან მხეცს ემალებოდა სიზმრებში.

ქარი კი კვლავინდებურად დაქროდა საწვიმარ ღარში. ცაზე გაზაფხულის თეთრი მთვარე გამოკიდებულიყო. სადღაც შორს, მინდორსა თუ ფიჭვნარში ძაღლმა დაიყეფა და ისევ სიჩუმე ჩამონვა.

ტედ ტრენტონის საკუჭნაოში კვლავაც ფხიზლობდა ქარვის-ფერთვალეებიანი არსება.

– შენ გადმოალაგე საბნები? – ჰკითხა დილით დონამ ქმარს. ქურასთან იდგა და ტაფაზე ბეკონს წვავდა. ტედი თავის ოთახში იყო – „ახალი ზოოპარკის მიმოხილვას“ უყურებდა და „ტვინკლსის“ ფაფას შეექცეოდა. „ტვინკლსი“ „შარპის“ ბურღულეული იყო, რომელსაც ტრენტონები უფასოდ იღებდნენ.

– ჰა? – იკითხა ვიკტორმა ისე, რომ გაზეთის სპორტული გვერდისთვის თვალი არ მოუშორებია. ის ნიუ-იორკელი იყო და „რედ სოქსს“ არ გულშემატკივრობდა, მაგრამ მაინც რალაცნაირი მაზოხისტური სიამოვნება განიცადა, როდესაც „მეტსის“¹ წარუმატებელი სტარტის ამბავი შეიტყო.

¹ „ნიუ-იორკ მეტსი“ – ნიუ-იორკის ბეისბოლის გუნდი; „ბოსტონ რედ სოქსი“ – ბოსტონის ბეისბოლის გუნდი;

– საბნები ისევ გადმოლაგებული დამხვდა. სკამიც გამონეულია და საკუჭნაოს კარი ისევ ღია იყო, – დონამ აშიშხინებული ტაფა მაგიდაზე დადგა, – ამიტომ გეკითხები: შენ გადმოლაგე საბნები?

– არა, – მიუგო ვიკმა და გაზეთი გადაფურცლა, – ხომ იცი, ვერ ვიტან ნაფტალინის სუნს.

– უცნაურია. ესე იგი, თვითონ გადმოლაგა.

ვიკმა გაზეთი დაკეცა და ცოლს ახედა.

– რაზე მელაპარაკები, დონა?

– გახსოვს, ნუხელ ცუდი სიზმარი რომ ნახა?

– მაგას რა დამავინწყებს. ვიფიქრე, ბავშვი კვდება-მეთქი. ისეთი კრუნჩხვები ჰქონდა...

დონამ თავი დაუქნია:

– სანყალს ეგონა, საკუჭნაოში, საბნების ნაცვლად, რალაც... – ნამით შეყოვნდა და მხრები აჩჩეჩა.

– ბუა იჯდა, არა? – ვიკს გაელიმა.

– ჰო. შენ კი დათუნია მიეცი და საბნები საკუჭნაოს სიღრმეში შეალაგე. მაგრამ დღეს დილით ყველაფერი ისევ ძველ ადგილას ეწყო. თავიდან ვიფიქრე...

– ჰო, ახლა ვხვდები, რაც მოხდა, – ჩაილაპარაკა ვიკმა და ისევ გაშალა გაზეთი, – ძილის წინ სამი ჰოთ-დოგი მეტისმეტია.

მოგვიანებით, როცა ვიკი სამსახურში წავიდა, დონამ ტედს ჰკითხა, საბნები უკან რატომ გადმოლაგეო?

ტედმა გაკვირვებულმა შეხედა და მუდამ ხალისიანსა და ცქვიტს, მხიარული იერი უეცრად უცნაური ბებრული გამომეტყველებით შეეცვალა. წინ „ვარსკვლავური ომების“ გასაფერადებელი ედო და მწვანე პასტელით გრიდოს სურათს აფერადებდა.

– მე არ გადმომილაგებია, – მიუგო დედას.

– კი მაგრამ, ტედ, თუ არც შენ გიხლია ხელი, არც მე და არც მამაშენს, მაშინ...

– ურჩხულმა ქნა, – თქვა ტედმა, – ჩემს საკუჭნაოში რომ ზის, იმან.

და გაფერადება განაგრძო.

დონა შემფოთებული და ოდნავ შეშინებული მიაცქერდა – თავისი ასაკისთვის, ბიჭუნას წარმოსახვის ძალიან დიდი უნარი ჰქონდა – და გადაწყვიტა, სალამოს ვიკს დალაპარაკებოდა... უსათუოდ უნდა დალაპარაკებოდა.

– დაიმახსოვრე, მამამ რაც გითხრა, – უთხრა ბოლოს, – ურჩხულები არ არსებობენ.

– დღისით არა, – მიუგო ტედმა და ისე გულწრფელად და მხიარულად გაუღიმა, რომ დედას გულზე მოეშვა. დონა დაიხარა და შვილს ლოყაზე აკოცა.

კი, მართლა აპირებდა ვიკთან დალაპარაკებას, მაგრამ სანამ ტედი ბალში იყო, სტივ კემპი ესტუმრა და მასაც სულ გადაავიწყდა თავისი განზრახვა. ტედი კი იმ ღამითაც აყვირდა – საკუჭნაოში ურჩხული, საშინელი ურჩხული ზისო!

საკუჭნაოს კარი კვლავ ღია იყო. საბნები კი ისევ ძველ ადგილას ელაგა. ამჯერად ვიკმა ისინი სხვენზე აიტანა და სკივრში ჩაკეტა.

– უყურე, ტედ, – უთხრა შვილს და აკოცა, – საკუჭნაო ცარიელია. მშვიდად დაიძინე.

მაგრამ ტედმა კიდევ დიდხანს ვერ შეძლო დაძინება და, სანამ თვლელმა მოერეოდა, საკუჭნაოს კარმა ისევ დაიჭრიალა. ისევ გაიხსნა წყვდიადში გამავალი ლიობი – წყვდიადში, სადაც სისხლისა და მძორის სუნით აყროლებული, ბასრლოფებიანი, ჯაგარაშლილი არსება იმალებოდა.

– გამარჯობა, ტედ, – მოგუდული ხმით ჩაიჩურჩულა მონსტრმა და ფანჯარაში მკვდრის უსიცოცხლო, დაჭყეტილი თვალივით გამოჩნდა მთვარე.

იმ გაზაფხულზე კასლ-როკის უხუცესი მცხოვრები ეველინ ჩალმერსი იყო. მეზობლები მას დეიდა ევის ეძახდნენ, ფოსტალიონმა ჯორჯ მირამ კი „ყბედი ბებერი ძუკნა“ შეარქვა. ჯორჯ მირას მასთან კატალოგები, „რიდერს დაიჯესტის“ დანართები და

„ქრისტეს საძმოს“ ბროშურები დაჰქონდა და ყოველდღე უწევდა მისი ხანგრძლივი მონოლოგების მოსმენა. ეს ყბედი დედაბერი მხოლოდ ამინდის წინასწარმეტყველებაშია ყოჩალიო, ეუბნებოდა ჯორჯი ძმაკაცებს ბარ „ნასვამ ვეფხვში“ ლოთობისას (ბარის ეს სახელწოდება, ცოტა არ იყოს, სულელურად ჟღერდა, მაგრამ ეს მოსალხენი დაწესებულება ერთადერთი იყო მთელს ქალაქში და ამიტომაც მისი სახელი არავის აღიზიანებდა).

ჯორჯის აზრს ყველა იზიარებდა. დეიდა ევიმ კასლ-როკის უხუცესი მცხოვრების „ტიტული“ ორი წლის წინ მოიპოვა – მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გამოთავყვანებული ასი წლის არნოლდ ჰიბერტი ახლად ჩაფსმულ-ჩასვრილი შარვლით დაგორდა მოხუცთა თავშესაფრის კიბეზე და კისერი მოიტეხა.

დეიდა ევი თითქმის მასავით ბებერი და გამოყვეყრებული იყო, მაგრამ მაინც საკმარისი ძალა ჰქონდა იმისათვის, რომ ყოველდღე ეყაყანა მუდამ თვინიერ (და ხშირად – ნამთვრალე) ჯორჯ მირასთან და საკმაოდ ჭკვიანიც იყო საიმისოდ, რომ, არნის მსგავსად, საკუთარი სახლი არ დაეკარგა.

და კიდევ ამინდის პროგნოზირებაში არ ჰყავდა ბადალი. ქალაქში ყველამ იცოდა, რომ დეიდა ევის არასოდეს ეშლებოდა სამი რამ: რომელ კვირაში უნდა დაწყებულიყო თიბვა, როგორი იქნებოდა მოცვის მოსავალი და, საერთოდ, რა ამინდები იყო მოსალოდნელი.

ზუსტად იმ წელს იყო, ივნისის დასაწყისში, ძველი ხელჯოხის კაკუნით (რომელიც, მირას ვარაუდით, ბებერი ალქაჯის სიკვდილის შემდეგ ვინ მარშანს უნდა რგებოდა მემკვიდრეობით) და „ჰერბერტ ტერეიტონის“² ფუილით გზის პირას მდგარი საფოსტო ყუთისკენ რომ წალასლასდა. ჯორჯ მირას „გამარჯობაო“, დაუყვირა (ყრუ იყო და ყველა ყრუ ეგონა) და ყვავივით დასჩხავლა: წლევანდელი ზაფხული ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ყველაზე ცხელი იქნებაო. „დასაწყისშიც ცხელი იქნება, ბოლოშიც და შუაშიც“, – შუადღის სიჩუმესა და ხვატში ითარსებოდა მიხრწნილი კუდიანი.

² სიგარეტის მარკა.

– მართლა? – ჰკითხა ჯორჯმა.

– რა?

– მართლა ეგრე იქნება-მეთქი? – ყურში ჩაჰყვირა ჯორჯმა. დეიდა ევისთვის რამე რომ გაგეგებინებინა, ხმის ჩახლეჩამდე უნდა გეყვირა.

– თუ არა და ბებერ ტახს ვაკოცებ დინგზე! – დეიდა ევიმ ჯორჯს მხარზე დააფერფლა (მანაც უდრტვინველად ჩამოიფერთხა ფერფლი ახლად გარეცხილი უნიფორმიდან) და მანქანის ფანჯარაში შეყო თავი. ყურში ჩაყვირებას ისევ ეს სჯობდა. პირიდან გადამჟავებული კიტრის სიმყრალე ამოსდიოდა.

– სარდაფებიდან თავგები გაიხიზნენ! ტომი ნედომ საკუთარი თვალთ ნახა მოსანტიგ-პონდთან, როგორ ილესავდა ქვებზე რქებს ირემი! თოვლის ქვეშ ბალახი გაზაფხულამდე მწვანე დარჩა! მწვანე იყო, მირა!

– მართლა? – კვლავ ჰკითხა ჯორჯმა: რალაც ხომ უნდა ეთქვა. თანდათან თავი სტკივდებოდა.

– რა?

– მართლა ეგრე იყო, დეიდა ევი?! – ჯორჯმა ისე იღრიალა, პირიდან დორბლი გადმოსცვივდა.

– ჰო, აბა! – აღტაცებულმა წამოიძახა მოხუცმა, – გარდა ამისა, გუშინ სალამოს ჰორიზონტი ნითლად იყო შეფერილი. ეგეც ცუდის ნიშანია, მირა! ბევრი ადამიანი მოკვდება სიცხისგან ამ ზაფხულს!

– ჩემი წასვლის დროა, დეიდა ევი! – უყვირა პასუხად ჯორჯმა, – სტრინგერ ბოლიეს საგანგებო გზავნილი უნდა მიუუტანო!

დეიდა ევიმ თავი უკან გადაიქნია და ახითხითდა. მანამ იხითხითა, სანამ ხველა არ აუტყდა და ხალათზე არ დაიფერფლა. მერე ჩამწვარი სიგარეტი ასფალტზე გადმოაფურთხა და კუპრივით შავი და კორსეტივით შემოჭერილი ბებრული ფეხსაცმლით გასრისა.

– ფრანგ ბოლიეს დეპეშა რად უნდა? ის საცოდავი საკუთარი საფლავის ქვის წარწერასაც ვერ ამოიკითხავს!

– უნდა წავიდე, დეიდა ევი! – მიაძახა ჯორჯმა და აქსელერატორის პედალს ფეხი მიაჭირა.

– ქვეყნად ბოლიესნაირი ბრიყვი მეორე არ დაბადებულა! – ჩაიფუჯლუნა მოხუცმა, მაგრამ ჯორჯმა მანქანა ადგილიდან მოწყვიტა და გზაზე მტვრის ბული დააყენა.

ეველინ ჩალმერსი ცოტა ხნით შეყოვნდა და გაქცეულ ფოსტალიონს თვალი გააყოლა. იმ დღეს კორესპონდენცია არ მისვლია. ბოლო დროს წერილებს იშვიათად იღებდა – წერა-კითხვის მცოდნე ნაცნობ-მეგობრების უმეტესობა უკვე კარგა ხნის მკვდარი ჰყავდა და მალე თვითონაც აპირებდა, მათ კვალს გაჰყოლოდა. ის გაუთავებლად ლაყობდა სარდაფებიდან გაქცეულ თავგებსა და წითლად შეფერილ ცაზე, მაგრამ სიტყვაც კი არავისთან დასცდენია იმ უცნაურ სიმზურვალეზე, ძლევაამოსილი წითელთვალეზე მხეცივით რომ ტრიალებდა სადღაც, ჰორიზონტს მიღმა; ან თავის საშინელ სიზმრებზე; ანდა იმ ცრემლებზე, უმიზეზოდ რომ წასკდებოდა ხოლმე დილაობით და შვების მოგვრის ნაცვლად, მხოლოდ თვალებს რომ უწვავდა, ოფლივით... მას არაფერი უთქვამს შორიდან მონაქროლ ქარებზე, რომლებსაც სიგიჟე და სიკვდილი მოჰქონდათ ქვეყნის დასალიერიდან.

– შენ კი ბებერი კუანა ხარ, ჯორჯ მირა, – ჩაილაპარაკა მოხუცმა იმ მხარისთვის დამახასიათებელ უცნაურ კილოზე, მკაცრ და დამცინავ ელფერს რომ სძენს სიტყვებს.

მერე, ხელჯოხზე დაყრდნობილი, ნელი ნაბიჯით წაფრატუნდა სახლისკენ. ეს ხელჯოხი თავის დროზე ქალაქის მერიაში გადასცეს სულელური ზარ-ზეიმით – აქაოდა, ასე ძალიან დაბერება როგორ მოახერხეო.

შუაგზაზე შეჩერდა და ცას ახედა. ცას ჯერ კიდევ გაზაფხულის სილაჟვარდე დაჰკრავდა, მაგრამ მოხუცი უკვე გრძნობდა ზვავის მოახლოებას.

იმ ზაფხულამდე ერთი წლით ადრე – როცა ტრენტონების ძველმა „იაგუარმა“ საეჭვოდ დაიწყო ჭრიალი – სწორედ ჯორჯ მირამ ურჩია ვიკს, მანქანა კასლ-როკის შორეულ გარეუბანში, ჯოკემბერის სახელოსნოში წაეყვანა. „ჯო ცოტა უცნაურად მუშაობს,